საქართველოს კონტროლის პალატის

საქმიანობის ანგარიში

2010

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ანგარიში

2010

თბილისი
2011

შინაარსი

9 შესავალი

10 საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები

14 განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხა

15 მეთოდოლოგია და სახელმძღვანელოები

17 საჯარო ფინანსების მართვა და აუდიტი

24 სტრუქტურული რეფორმის პირველი შედეგები: ადგილობრივი თვითმმართველობების აუდიტი

აუდიტების შედეგების გათვალისწინებით გაცემული
რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 27

პროფესიონალიზმის სრულყოფა, ცოდნის
დაგროვება და გაზიარება 30

საქართველოს
კონტროლის პალატის
ფინანსები 33

34
საერთაშორისო
ურთიერთობები/თანამშრომლობა

38
ინიციატივები და ცვლილებები
რეგულაციებში

დანართი 39

წინასიტყვაობა

გასული, 2010 წელი იყო ლოგიკური გაგრძელება საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური რეფორმისა, რომელიც ქვეყანაში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის განვითარების გლობალური მიმართულების შემადგენელი ნაწილია. თუ კონტროლის პალატის 2009 წლის საქმიანობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც აუდიტის თანამედროვე სისტემის კონცეფციური საფუძვლების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საწყისი ეტაპი, 2010 წელი იყო პერიოდი მისი აქტიური ქმედებებისა აღნიშნული საფუძვლების განსახორციელებლად. ამ თვალსაზრისით, კონტროლის პალატის საქმიანობა ითვალისწინებს კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვასა და გატარებას მისი განვითარების სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად.

ჩვენი მიზანია, საქართველოში უმაღლესი აუდიტის სისტემა შევქმნათ ამ სფეროში არსებულ სანიმუშო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რისთვისაც აქტიურად განვაგრძობთ თანამიმდევრული და მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელებას საერთაშორისო ასპარეზზე – საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებსა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო ორგანიზაციათა პარტნიორობა სწორი განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

აღსანიშნავია ასევე კონტროლის პალატის აქტივობა სამოქალაქო განათლების პროცესის მხარდასაჭერად – 2010 წელს ჩვენი ინიციატივით დაიწყო საჯარო ფინანსების მართვისა და აუდიტის შესახებ ხანგრძლივი საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ამ საკითხებით ახალგაზრდა თაობის დაინტერესების ზრდა და მისი სტიმულირება თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის უნარჩვევების დასაუფლებლად.

აღნიშნული სიახლეების პარალელურად, კონტროლის პალატა თანამიმდევრულად ასრულებდა თავის უმთავრეს კონსტიტუციურ ფუნქციას – ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების და სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობას, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას. აუდიტორული საქმიანობის დროს, კანონთან შესაბამისობის გარდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახელმწიფო სახსრების რაციონალურ გამოყენებას

– ითვალისწინებდნენ თუ არა შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და ორგანოები გადაწყვეტილებების მიღებისას რესურსების გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტს საუკეთესოს შესარჩევად. საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის მნიშვნელობის პოპულარიზაცია და ამ საკითხზე საჯარო სექტორის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა კონტროლის პალატის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

კონტროლის პალატა ერთგული რჩება პრინციპისა – იმოქმედოს საზოგადოების დაკვეთით, იყოს მისი წარმომადგენელი საჯარო ფინანსების ადმინისტრირებაში. ამასთანავე, ჩვენი საქმიანობა არა მხოლოდ საზოგადოებრივი ზედამხედველობის გაძლიერებას ემსახურება, არამედ მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფო სექტორის წარმატებულ საქმიანობას; ამ მიზნით კონტროლის პალატის მომსახურება ითვალისწინებს მდგომარეობის შესწავლას, შეფასებასა და განვითარებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავებას.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულების ობიექტურად შეფასებისათვის წარმოგიდგენთ გასულ წელს გაწეული საქმიანობის შედეგების შემაჯამებელ ანგარიშს.

ლევან ბეჟაშვილი
საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე

შესავალი

საქართველოს კონტროლის პალატა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოა. იგი უწყებრივად, ფინანსურად, ფუნქციურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის პრინციპებია:

- ობიექტურობა;
- დამოუკიდებლობა;
- საჯაროობა;
- პროფესიონალიზმი.

> შედეგების ძირითადი სიკეთე საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად შემუშავებული რეკომენდაციებით უკეთესი მმართველობის ხელშეწყობაა.

საქართველოს კონტროლის პალატა საზოგადოების წინაშე საჯარო დაწესებულებათა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შედეგების ძირითადი სიკეთე საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად შემუშავებული რეკომენდაციებით უკეთესი მმართველობის ხელშეწყობაა.

2010 წელი გამორჩეული ეტაპია საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონტროლის პალატის მიერ სამართლებრივი ბაზის რეფორმის, სტრატეგიული განვითარების, ფინანსური აუდიტის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების, აუდიტის პროცესის ხარისხის ამაღლების, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით გაწეული საქმიანობა.

საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები

საქართველოს კონტროლის პალატის, როგორც სახელმწიფო აუდიტის დამოუკიდებელი ორგანოს, შემდგომი განვითარებისა და საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვისათვის 2010 წელს შემუშავდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც განსაზღვრავს პალატის სტრატეგიული განვითარების მრავალმხრივ მიმართულებებს:

- საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგია 2010-2012 წლებისთვის (განახლებული რედაქცია) და სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს კონტროლის პალატის შესაძლებლობების განვითარების 2010-2011 წლების სამოქმედო გეგმა;
- ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია 2011-2012 წლებისთვის;
- შიდა და გარე კომუნიკაციების პოლიტიკის დოკუმენტი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგია;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გეგმა.

საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგია

საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც 2010-2012 წლებისთვის პალატის განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს, ჩამოყალიბებულია უწყების პოლიტიკა საჯარო ფინანსების მართვის დინამიკური გარემოს გათვალისწინებით.

მისია

საქართველოს კონტროლის პალატის მისიაა, ხელი შეუწყოს უკეთეს მმართველობას სახელმწიფო მომსახურებისა და საჯარო ფინანსების მართვის სფეროში კანონიერების, ეფექტიანობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფით.

საქართველოს კონტროლის პალატა ზემოაღნიშნული სტრატეგიის განხორციელებით მიზნად ისახავს, გასწიოს საჯარო სექტორის თანამედროვე, დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მოქალაქეთა ნდობით სარგებლობს.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს კონტროლის პალატა თავის შესაძლებლობებს განავითარებს სამი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებით. ესენია:

1. პროფესიული განვითარება;
2. ორგანიზაციული განვითარება;
3. კორპორაციული რეპუტაცია და გარე კომუნიკაცია.

შესაძლებლობების განვითარების 2010-2011 წლების სამოქმედო გეგმა

განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად შემუშავდა შესაძლებლობების განვითარების 2010-2011 წლების სამოქმედო გეგმა. საქართველოს კონტროლის პალატა, როგორც უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტი, არსებით როლს ასრულებს საზოგადოების წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის განმტკიცებაში, რაც თავის მხრივ საქმიანობის მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად წარმართვას მოითხოვს.

კონსტიტუციური მანდატის ეფექტიანად და ჯეროვნად შესრულებისათვის აუცილებელია საქართველოს კონტროლის პალატის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.

საქართველოს კონტროლის პალატა, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის კანონით განსაზღვრული ახალი მანდატის გათვალისწინებით, ახალი გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევები კომპლექსურია და დაკავშირებულია როგორც უწყების პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებასთან, ისე ორგანიზაციული შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან, განვითარების მდგრადი სისტემის ჩამოყალიბების საშუალებით.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს კონტროლის პალატამ განსაზღვრა კონკრეტული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია წარმატებისათვის.

ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სტრატეგიული მიზნები

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიით განისაზღვრა ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც საქართველოს კონტროლის პალატა პრიორიტეტულად მიიჩნევს ადამიანური რესურსების მართვის განსავითარებლად:

- საქართველოს კონტროლის პალატის სათანადო საკადრო რესურსებით უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- აუდიტორთა შეფასების სისტემის დანერგვა;
- კარიერული განვითარების სისტემის დანერგვა;
- მოტივაციის სისტემის შექმნა.

უახლოესი ორი წლისთვის საქართველოს კონტროლის პალატის მთავარი პრიორიტეტებია:

- ხარისხის კონტროლის დანერგვა – გულისხმობს ორეტაპიანი სისტემის ჩამოყალიბებას აუდიტორული პროცესების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვის უზრუნველსაყოფად:

  ხარისხის კონტროლი აუდიტის მიმდინარეობისას (ე. წ. hot review) იძლევა აუდიტის ხარისხის მის დასრულებამდე გაუმჯობესების შესაძლებლობას;

  ხარისხის უზრუნველყოფა დასრულებული აუდიტის შეფასებით (ე. წ. cold review) იძლევა აუდიტის მიმდინარეობისას წამოჭრილი პრობლემების განზოგადებისა და მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობას.

- შიდა და გარე კომუნიკაციების გაუმჯობესება მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების ორგანიზებულად, მიზანმიმართულად, თანამიმდევრულად და ჯეროვნად მართვისა და ფუნქციონირებისათვის,

ასევე საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის ფართო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ უკეთ აღქმისათვის. აღნიშნული განაპირობებს კონტროლის პალატის ახალი მანდატის ახლებურ გააზრებასა და საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებას.

- საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება უზრუნველყოფს საქართველოს კონტროლის პალატის სისტემაში:
  – საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთიანი გარემოს შექმნას;
  – საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოებას;
  – ინფორმაციის დაცვასა და დაარქივებას;
  – ინფორმაციის სწრაფად და უსაფრთხოდ გაცვლას;
  – პალატის რეგიონულ ოფისებს შორის ქსელურ კომუნიკაციას;
  – მომხმარებელთა ცენტრალიზებულ კონტროლს;
  – ელექტრონული აუდიტორული პროგრამების მხარდაჭერას;
  – სასერვერო ინფრასტრუქტურისა და შიდა და გარე კავშირების შექმნას.

აღნიშნული აუცილებელია აუდიტის პროცესის ოპტიმიზაციისა და ინფორმაციის მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხა

საქართველოს კონტროლის პალატის რეფორმირებისა და აუდიტის თანამედროვე სტანდარტებით მომუშავე ინსტიტუტად ჩამოყალიბების კუთხით მნიშვნელოვანი სიახლე, რომელზედაც მუშაობა დაიწყო, არის განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხა.

> პროგრამისა თუ ღონისძიების აღნიშნულ ნუსხაში შეტანით საქართველოს კონტროლის პალატა საჯაროდ აცხადებს, რომ ამ პროგრამას, ღონისძიებას, მის განმახორციელებელ სუბიექტს თუ მთლიანად სისტემას, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს.

პროგრამა/ღონისძიება განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხაში შეიტანება საქართველოს კონტროლის პალატის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, ობიექტურად მოპოვებული ინფორმაციის (მათ შორის, აუდიტის შედეგების) საფუძველზე.

ამ ნუსხის გათვალისწინებით ჩამოყალიბდება საქართველოს კონტროლის პალატის წლის პრიორიტეტები და აუდიტის გეგმები.

პროგრამის/ღონისძიების შეფასებისა და განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხაში შეტანის ან ნუსხის განახლების კრიტერიუმებია:

1. დიდი მოცულობის საბიუჯეტო თანხები;
2. არასწორი მართვა;
3. თაღლითობა/მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
4. მნიშვნელოვანი/სისტემური რეფორმის საჭიროება;
5. დიდი საზოგადოებრივი ინტერესი.

მეთოდოლოგია
და სახელმძღვანელოები

საქართველოს კონტროლის პალატის რეფორმირების მნიშვნელოვანი შედეგია ის დოკუმენტი, რომლითაც პალატის აუდიტორები აუდიტს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართავენ. ეს არის საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 27 სექტემბრის №141/42 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური აუდიტის სახელმძღვანელო", რომელმაც მსოფლიო ბანკის მაღალი შეფასება დაიმსახურა და პალატის თანამედროვე აუდიტორულ ინსტიტუტად ჩამოყალიბების გზაზე თანამიმდევრული, მზარდი წარმატების ინდიკატორად არის მიჩნეული.

ფინანსური აუდიტის აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოყენებით ჩატარება 2011 წლის შემოდგომიდან უნდა დაიწყოს.

„გუნდი ულოცავს კონტროლის პალატას ფინანსური აუდიტის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებას. ეს არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც შეესაბამება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის, INTOSAI-ს აუდიტის სტანდარტებს და მყარი საფუძველია კონტროლის პალატის სამომავლო აუდიტორული საქმიანობისათვის."

მსოფლიო ბანკი

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის (PSFMRSP) განხორციელების მიმოხილვის ანგარიში. 2010 წლის 29 ნოემბერი – 3 დეკემბერი

- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია „საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორთა ეთიკის კოდექსი", რომელიც 2010 წელს დამტკიცდა. ეს დოკუმენტი არის აუდიტორთა პროფესიული ეთიკისა და ქცევის ნორმების ერთობლიობა, რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

- 2010 წელს საქართველოს კონტროლის პალატაში დაიწყო „ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს“ (ISSAI 3000-3999) INTOSAI-ს სტანდარტების შესაბამისად შემუშავება. ამ სახელმძღვანელოს შემუშავება-დანერგვის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ გერმანელი და შვედი კოლეგები.
- აუდიტორულ საქმიანობაში დაგროვილ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდა პრაქტიკული დოკუმენტები, რომლებითაც აუდიტორები იხელმძღვანელებენ კონკრეტული აუდიტორული პროცესების წარმართვისას:
  - სახელმწიფო შესყიდვების აუდიტის ინსტრუქცია;
  - სამსახურებრივი მივლინებების აუდიტის ინსტრუქცია.
- აუდიტორული რისკების დადგენის და შესაფერისი აუდიტორული პროცესების დაგეგმვის მიზნით ინერგება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს სამინისტროების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიმდინარე ანალიზს.
- სამინისტროების საქმიანობათა ცალკეული მიმართულების დროულად შესწავლის მიზნით ინერგება წინასწარი აუდიტორული პროცესები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება სხვადასხვა ორგანიზაციული და ეკონომიკური კლასიფიკაციის ხარჯების შესწავლა.

საჯარო ფინანსების მართვა და აუდიტი

2010 წლისთვის საქართველოს კონტროლის პალატის პრიორიტეტები იყო:

- სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვა;
- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მართვა;
- სოციალური პროგრამების მართვა;
- ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მართვა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროს მართვა;
- ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების აუდიტი;
- სახელმწიფო ქონების პრივატიზების მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში;
- საჯარო ფინანსებით განხორციელებული საზოგადოებრივი მაუწყებლობა.

საქართველოს კონტროლის პალატა აგრძელებს აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვისას რაციონალურობის პრინციპით ხელმძღვანელობას: ნაკლები აუდიტის ობიექტი, მეტი საჯარო რესურსის აუდიტი, ანუ პალატა წარმართავს არა ყველა საჯარო დაწესებულების, არამედ მხოლოდ იმ დაწესებულებების აუდიტს, რომლებიც ერთად განკარგავენ სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან მოცულობას.

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტმა მოიცვა ბიუჯეტი 6 მილიარდ 947 მილიონი ლარის ოდენობით.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლინდა სხვადასხვა სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის 869 შემთხვევა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების/პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები პრაქტიკულად დანიშნულებისამებრ არ ყოფილა ათვისე-

ბული ან ათვისებულ იქნა სხვა მიმართულებით, მაგალითად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში – „სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს „რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა“ და სხვ.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მართვა

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების აუდიტით გამოვლინდა სისტემური ნაკლოვანებები, რამაც ასევე გამოააშკარავა ჯანდაცვის სფეროში არსებული მომეტებული აუდიტორული რისკები:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები ხანგრძლივი დაგვიანებით მტკიცდება, რის გამოც ბენეფიციართა დიდი ნაწილი მომსახურების გარეშე რჩება, დაგვიანების გამო აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრები კი არ იხარჯება პროგრამული მიზნების მისაღწევად;
- სამინისტროს მიერ დადგენილი სამედიცინო მომსახურებათა ღირებულება არ ემყარება დასაბუთებულ კალკულაციას;
- სამედიცინო ტარიფები გასული პერიოდის სტატისტიკას ეფუძნება;
- შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვები მნიშვნელოვანი გადაცდომებით ხორციელდება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს დიდ ზარალს აყენებს;
- სამინისტროში არ არის დანერგილი შიდა კონტროლის პროცედურები, რომელთა საშუალებითაც გაკონტროლდებოდა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშები და ფინანსური ანგარიშსწორება.

ცალკეული აუდიტის შედეგები

ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტით დადგინდა, რომ 2007-2009 წლებში პროგრამის ფინანსური გაანგარიშება დაუსაბუთებელი იყო:

- დიალიზის სეანსის ღირებულება – 90 ლარი, რომელიც 2009 წელს 121 ლარამდე გაიზარდა, უსაფუძვლოდ, ყოველგვარი გაანგარიშების გარეშე იყო დადგენილი, რამაც საბიუჯეტო სახსრების უკონტროლოდ და არამიზნობრივად ხარჯვა გამოიწვია. კერძოდ:

  სამინისტრო ძვირად ღირებულ სადიალიზე მასალას ყიდულობდა კომპანია „ვია-ვიტასგან“, რომელმაც ფასი ხელოვნურად გაზარდა. საქართველოში ამ მასალის ღირებულება, რომელიც პროგრამის 80%-ს ფარავს, 60%-ით აღემატებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფასებს და 100%-ით მეტი იყო პროგრამაში გამოყენებული, შპს „ჯანის“ მიერ მიწოდებული იდენტური ხარისხის მასალის ღირებულებაზე.

პროგრამის დაუსაბუთებელი ფინანსური გაანგარიშების გამო სახელმწიფო ბიუჯეტს 2007-2009 წლებში 14 მილიონი ლარის ზარალი მიადგა.

იმუნიზაციის (ვაქცინაციის) სახელმწიფო პროგრამის აუდიტით გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვების გზით საბიუჯეტო სახსრების უკანონო ხარჯვა:

- სხვადასხვა წელს ვაქცინების მიწოდების პროცესში არაკოორდინირებული და შეუთანხმებელი ქმედების გამო ვაქცინების მოკლე პერიოდში გაუვარგისებით სახელმწიფომ 132.9 ათასი ლარი იზარალა.
- წითელა-წითურა-ყბაყურის ვაქცინების შესაძენად გამოყოფილი ბიუჯეტი განზრახ იქნა მორგებული მიმწოდებელი კომპანიის ამონაგებზე. შესყიდვები ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაიგეგმა იმგვარად, რომ ბიუჯეტი მთლიანად კომპანია „ნ ფარმი +"-ზე მიმართულიყო. პროგრამის ფარგლებში შეძენილ იქნა იაფფასიანი დაფასოების, საჭირო მარაგზე ნაკლები და ვარგისობის მცირე ვადის მქონე ვაქცინა. შესაბამისად, გაიზარდა ერთეული ვაქცინის ფასი, რითაც დაზარალდა სახელმწიფო ბიუჯეტი.

კანონდარღვევით განხორციელებული შესყიდვებით სახელმწიფო ბიუჯეტს 1 788.9 ათასი ლარის ზარალი მიადგა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმპ), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის აუდიტით გამოვლინდა მრავალი სისტემური ხარვეზი, რომლებიც ლახავს პროგრამით მოსარგებლეთა ინტერესებს მომსახურების შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და დაბალი ხარისხის გამო. პროგრამა არ არის ორიენტირებული რეალური შედეგების მიღწევაზე. კერძოდ:

- 2007-2009 წლებში პროგრამა საბიუჯეტო წლის დაწყებიდან დიდი ხნის დაგვიანებით მტკიცდე-

ბოდა, ფერხდებოდა სახელმწიფო შესყიდვები, ბენეფიციართა დაფინანსება და პროგრამით უზრუნველყოფილი სიკეთეებით სარგებლობა. აუდიტის პერიოდში აუთვისებელი იყო 2 465.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი საბიუჯეტო ასიგნების 19%-ია. ამ თანხით 3 500-მდე მომლოდინე ბენეფიციარი დაკმაყოფილდებოდა.

- ბენეფიციართათვის მომსახურების შესყიდვისას არ არის ხარისხიანი მომსახურებისთვის აუცილებელი კომპონენტები და კრიტერიუმები, როგორებიცაა, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ინფრასტრუქტურა, სათანადო ფართობი, ლიცენზია და ა. შ., რაც განაპირობებს მომსახურებისა და პროგრამის შედეგების დაბალ ხარისხს.
- არ არსებობს შშმპ სტატუსის მქონე ბენეფიციართა ერთიანი ბაზა. არაეფექტიანია ბენეფიციართა შესაბამის დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმი. გათვალისწინებული არ არის შშმპ-თა კატეგორია, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და სხვა მონაცემები, რაც უზრუნველყოფდა ობიექტური დამოკიდებულების მაღალ ხარისხს.
- კოხლეარული იმპლანტით ბენეფიციართა დაკმაყოფილების სტატისტიკის თანახმად, არსებული დაფინანსების ფარგლებში წელიწადში მხოლოდ 5 ბენეფიციარის დაკმაყოფილება ხდება. ამგვარი მიდგომით, მთლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას 11 წელი დასჭირდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბენეფიციართა რაოდენობა არ გაიზრდება. დროის ასეთ გრძელ მონაკვეთში ღონისძიება აზრს კარგავს, რადგან ზრდასრული ადამიანისათვის იგი ან საერთოდ არ იძლევა შედეგს, ან მისი შედეგი ძალიან დაბალია. ამდენად, პროგრამის მიზნების მისაღწევად დამატებითი მექანიზმების შემუშავებაა საჭირო.

საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების მართვა

საქართველოს კონტროლის პალატამ 7 უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აუდიტით გამოავლინა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული შემდეგი ხარვეზები და ნაკლოვანებები:

- ფინანსური ნაკადების მართვის ნაკლოვანებები;
- დებიტორული დავალიანებების არასწორი მართვა;
- სტუდენტთა სწავლის საფასურის არასწორი აღრიცხვა;
- აქტივების არასწორი აღრიცხვა;
- საიჯარო ხელშეკრულებების შეუსრულებლობა;
- უხარისხო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- თანამშრომელთა ხელოვნურად გაზრდილი რაოდენობა;
- უძრავი ქონების არამიზნობრივი გამოყენება;
- კანონდარღვევები სახელმწიფო შესყიდვებში.

ცალკეული აუდიტის შედეგები

იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტი

- სამეცნიერო დანიშნულების 3 000 ჰა მიწის ფართობის 85% გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობისათვის, ინსტიტუტის ხელმძღვანელთა ჯგუფის პირადი ქონებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, რისთვისაც მათ თვითნებურად გასწიეს 2 664.8 ათასი ლარის არამიზნობრივი საბიუჯეტო ხარჯი.
- ძირითადი კულტურების მიხედვით მიღებულად მოსავლის მხოლოდ 62%-ია ნაჩვენები. მიუღებელი სხვაობის (38%) საბაზრო ღირებულებაა 3 207.0 ათასი ლარი, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტს მოგების გადასახადის სახით სულ მცირე 630.0 ათასი ლარი დააკლდა.
- მოყვანილი კულტურების გაყიდვით მიღებული ამონაგები 746.5 ათასი ლარით ნაკლებია მინიმალურ საბაზრო ფასებზე.
- ინსტიტუტი ეწეოდა მევენახეობასა და მეცხოველეობას, რომლებიც არ არის დაკავშირებული სამეცნიერო საქმიანობასთან, და იგეგმებოდა ზარალით, რომელმაც 265.0 ათას ლარამდე შეადგინა.
- ინსტიტუტის მიერ საგადასახადო ორგანოებში დეკლარაციების წარუდგენლობით და გადასახადის შემცირებით სახელმწიფო ბიუჯეტს 211.5 ათასი ლარის ზარალი მიადგა.
- კანონდარღვევით განხორციელდა 2 574.3 ათასი ლარის სახელმწიფო შესყიდვები.

ინსტიტუტის ხელმძღვანელთა ჯგუფი მეცნიერების სახელის მიღმა, სახელმწიფო ქონების ხარჯზე ეწეოდა კერძო სამეწარმეო საქმიანობას, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი, 9 891.4 ათასი ლარის ზარალი მიაყენა.

აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნით, ინსტიტუტის სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების ფლობა გაუმართლებელი იყო და არ ემსახურებოდა სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ინტერესებს.

სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

- უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო და სამეურნეო პროექტები არ იყო შედეგზე ორიენტირებული, რის გამოც სახსრები არამიზნობრივად დაიხარჯა. გარდა ამისა, უნივერსიტეტი 2007-2009 წლებში 500 ჰა მიწის ფართობიდან 300 ჰა-ს უსარგებლოდ ფლობდა.
- არ შესრულდა 250.0 ათას ლარამდე ღირებულების სამეცნიერო პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა: მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი და საინფორმაციო ცენტრის შექმნას, ხეხილისა და ვაზის საკოლექციო სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გაშენებას, ქუთაისის მეაბრეშუმეობის სადგურში სათბურის მოწყობას, უნიკალური ქართული ჯიშის ცხვრის სამეცნიერო კვლევას.
- უნივერსიტეტმა მეტალ-პლასტმასის ფანჯრების შესასყიდად 1 357.2 ათასი ლარის ხელშეკრულება გააფორმა შპს „ეკოთერმთან“, რომელმაც 380.8 ათასი ლარის სამუშაო არაჯეროვნად შეასრულა, კერძოდ, ფანჯრების ნაცვლად იაფფასიანი ვიტრაჟები დაამონტაჟა. ტენდერიდან დაბალი ფასის შემომთავაზებელი კონკურენტის უკანონოდ დისკვალიფიკაციით უნივერსიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტს 651.8 ათასი ლარის ზარალი მიაყენა.
- სატენდერო კომისიის მიერ ტენდერებში შეფასების კრიტერიუმების არასწორად შერჩევის გამო გამაგრებითი სამუშაოებისა და გათბობის სისტემის ტენდერებში გამარჯვებულად გამოვლინდნენ მაღალი

ფასის შემომთავაზებელი კომპანიები, რის შედეგადაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან არამიზნობრივად დაიხარჯა 267.4 ათასი ლარი.

- ხუთმა კონტრაქტორმა კომპანიამ ჯეროვნად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სამუშაოს ფაქტობრივად შესრულებულ და შესასრულებელ მოცულობებს შორის სხვაობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან უკანონოდ გადახდილ იქნა 69.9 ათასი ლარი.

უნივერსიტეტის პასუხისმგებელ პირთა არაჯეროვანი ქმედებით **არამიზნობრივად დაიხარჯა 1 010.9 ათასი ლარი**.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების აუდიტი

2010 წელს საქართველოს კონტროლის პალატამ ჩაატარა სს „აკად. ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრისა“ და სს „იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს“ აუდიტი. ამ აუდიტით დადგინდა:

- გაუმართავი ფინანსური აღრიცხვიანობა;
- პროგრამული საბიუჯეტო თანხების უკანონო ანაზღაურება;
- პაციენტთა მომსახურების არამართლზომიერი ანაზღაურება;
- სახელმწიფო ქონების არაეფექტიანი მართვა;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მარეგულირებელი ნორმების დარღვევა.

აუდიტების შედეგები

სს „იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო“

- საავადმყოფომ 2008-2009 წლებში ბავშვთა სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოსგან“ არასწორად მოითხოვა 37.9 ათასი ლარი.
- საავადმყოფომ ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ფარგლებში, ნაცვლად 38.4 ათასი ლარისა, რომელიც შესრულებული სამუშაოს ღირებულებაა, ზემოაღნიშნული სააგენტოსგან 99.0 ათასი ლარი მიიღო.

- ზოგიერთ შემთხვევაში საიჯარო და სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო არ ხდებოდა პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შერჩევითი საკონტროლო აზომვების შედეგად გამოვლენილი ზედმეტად ნაჩვენები შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულება შემოწმებული მოცულობის 11,32%, ანუ 49.3 ათასი ლარია.

ანალოგიურად, მომეტებული აუდიტორული რისკებია სს „აკად. ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ ფინანსურ მართვაში, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი აუდიტის აქტში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების მდგომარეობა საქართველოს რეგიონებში

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთისა და შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოების აუდიტით გამოვლინდა როგორც პრივატიზაციის კანონმდებლობის დარღვევის, ისე საპრივატიზაციო ვალდებულებების შეუსრულებლობის 191 შემთხვევა, რითაც სახელმწიფოს ინვესტიციის სახით 5.8 მილიონი აშშ დოლარი დააკლდა. დარღვევები შეეხება:

- საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობას;
- საპრივატიზაციო ობიექტების კანონდარღვევით შეფასებას;
- იპოთეკის ხელშეკრულებით დადგენილი ყოველწლიური გადასახადის (სულ 103.4 ათასი ლარის) გადაუხდელობას;
- საპრივატიზაციო თანხის გადაუხდელობას;
- უკანონო მოცულობის ქონების პრივატიზაციას;
- ათეულობით ჰექტარი მიწის ვადების დარღვევით ან არაუფლებამოსილი პირების მიერ პრივატიზაციას.

> აუდიტით გამოვლენილ 6 შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო პირობიან აუქციონებში გამარჯვებული პირებისათვის დასაკისრებელმა ჯარიმამ 1 მილიონ ლარზე მეტი (608 ათასი აშშ დოლარი შეადგინა).

სტრუქტურული რეფორმის პირველი შედეგები: ადგილობრივი თვითმმართველობების აუდიტი

იმის გამო, რომ 2007 წლიდან საქართველოს კონტროლის პალატაში არ არსებობდა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის სპეციალური სტრუქტურული ერთეული და იმ დროს მოქმედ საკანონმდებლო აქტებშიც მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული კონტროლის პალატის როლი მუნიციპალური სახსრებისა და ქონების აუდიტის საკითხებში, დიდი ხნის განმავლობაში მუნიციპალური ორგანოების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა კვალიფიციური აუდიტორული შემოწმების გარეშე რჩებოდა. კანონით მინიჭებული დამატებითი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის შექმნამ მდგომარეობა გააუმჯობესა.

2010 წელს დეპარტამენტის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად შემოწმდა 132.0 მლნ. ლარის მუნიციპალური საბიუჯეტო დაფინანსება.

მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლინდა შემდეგი სისტემური ნაკლოვანებები და მნიშვნელოვანი რისკები:

- **სუბსიდიური დაფინანსების მაღალი ხვედრითი წილი. აღნიშნული საგრძნობლად ამცირებს ბიუჯეტის გამჭვირვალობის დონეს**, რადგან არც დამტკიცებულ ბიუჯეტში და არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ხშირად არ ჩანს, თუ კონკრეტულად რისთვის და რა ეკონომიკური დანიშნულებით წარიმართა საბიუჯეტო სახსრები ამა თუ იმ ორგანიზაციაში და როგორ იქნა ათვისებული ისინი. უცნობია ასეთ ორგანიზაციაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის დინამიკაც.
- მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა. კერძოდ, **მუნიციპალიტეტების ნაწილს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების არც რაოდენობრივ და არც თანხობრივ მოცულობაზე.**

- **მუნიციპალური შესყიდვების მაღალი რისკ-ფაქტორებით განხორციელება.** არაკვალიფიციურად გამოცხადებული სატენდერო პირობები, შესყიდვის ფასები, შესყიდვის ობიექტები, შესყიდვის ხელშეკრულებების პირობები, ამ პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის დაბალი ხარისხი და სხვა ფაქტორები შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მნიშვნელოვანი დანაკარგების მიზეზი გახდეს.
- **არასრულყოფილი ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნული შეიცავს მაღალ რისკებს ასეთი აღრიცხვის სისწორისა და სისრულის, ასევე თაღლითობის შესაძლებლობის მხრივ.** მუნიციპალიტეტების გარკვეული ნაწილი ისევ ხელით აწარმოებს ბუღალტრულ აღრიცხვას, ხოლო ნაწილი სრული ან არასრული ფორმით იყენებს სხვადასხვა წარმომავლობის კომპიუტერულ პროგრამებს.

აუდიტორული შემოწმებების შედეგად მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა ბოლნისისა და ხობის მუნიციპალიტეტებში. კერძოდ, დაფიქსირდა დამტკიცებული ასიგნებების ზემოთ ხარჯების გაწევის, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების უგულებელყოფის, ფულადი სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე ხარჯებში ასახვისა და შესრულებულ სამუშაოთა სათანადო დასაბუთების გარეშე თანხების ანაზღაურების შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კონტროლის პალატამ ჩაატარა 119 აუდიტი: მათ შორის, 118 გეგმური და 1 არაგეგმური.

2008-2010 წლებში ჩატარებული აუდიტების (გეგმური და არაგეგმური) რაოდენობა



2009 წელს გასვლითი და კამერალური ფორმით ჩატარებული აუდიტები



2010 წელს გასვლითი და კამერალური ფორმით ჩატარებული აუდიტები



სულ, გასულ წელს, საქართველოს პარლამენტს, ასევე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს გადაეგზავნა ჩატარებული აუდიტების შედეგების ამსახველი 29 ინფორმაცია.

საქართველოს პროკურატურას შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა 10 შემოწმების მასალა, ხოლო სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადაგზავნილ მასალებზე რეაგირების საფუძველზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 9 პირი.

13 შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების მომართვის საფუძველზე, საქართველოს კონტროლის პალატის ათმა აუდიტორმა ჩაატარა საფინანსო-ეკონომიკური შემოწმება/ექსპერტიზა, რომელთა შედეგად სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 37 პირი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულ იქნა 3.68 მილიონი ლარი.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილმა, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებულმა ზარალმა 29.3 მილიონი ლარი შეადგინა.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს 8.7 მილიონი ლარი დაუბრუნდა.

აუდიტების შედეგების გათვალისწინებით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა **ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციისა და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისობის აუდიტის** შედეგად მისთვის საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მიცემული რეკომენდაცია და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №4426 ბრძანებით 2011 წლის პროგრამაში დიალიზის სეანსის ღირებულება 121 ლარის ნაცვლად 80 ლარით განისაზღვრა. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებით 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 7 მილიონი ლარი დაიზოგა.
- **იმუნიზაციის (ვაქცინაციის) სახელმწიფო პროგრამის აუდიტის** შედეგების გათვალისწინებით საქართველოს კონტროლის პალატის რეკომენდაციების შესრულებით 3 სხვადასხვა ვაქცინის წლიური მარაგების შეძენაზე საბიუჯეტო ეკონომიამ 2.6 მილიონი ლარი შეადგინა.
- **იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტში** ჩატარებული აუდიტის შედეგად საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ ინსტიტუტის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობის გასხვისების (სარგებლობის ფორმის შეცვლის) საკითხის გადასაწყვეტად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროების ერთობლივი მუშაობის შედეგად განხორციელდა მიწათმოქმედების ინსტიტუტის (სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტთან ერთად) უძრავი ქონების პრივატიზაცია.

- საქართველოს კონტროლის პალატის მიერ აუდიტის შედეგების გათვალისწინებით მიცემული რეკომენდაციების შესაბამისად, **ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა ადგილობრივ სასამართლოში შეიტანა სარჩელი შენობა-ნაგებობების 51.5 ათასი კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად პრივატიზაციის შედეგების გაუქმებისა** და აუქციონის პირობების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტს ქონება პირვანდელი ფორმით დაუბრუნდა.

- საქართველოს კონტროლის პალატის მიერ **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კახეთისა და შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოებში** ჩატარებული აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო სახელმწიფოს საკუთრებაში დაბრუნდა ქ. სიღნაღში მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის 6 450 კვ.მ ფართობის მქონე შენობა-ნაგებობები 35 000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელთა საერთო ღირებულებაა 1.2 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.
- **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში** ჩატარებული აუდიტის შედეგებიდან გამომდინარე და კონტროლის პალატის რეკომენდაციების გათვალისწინებით, უმაღლეს საბჭოში დაისვა შესაბამის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ორი პირი, ხოლო ერთ საჯარო მოსამსახურეს მიეცა გაფრთხილება.

აუდიტების შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გაწეული რეკომენდაციების შესრულებით სახელმწიფო ბიუჯეტის დანაზოგმა 11.03 მილიონი ლარი შეადგინა.

საბიუჯეტო სახსრების დაზოგვასა თუ საბიუჯეტო შემოსავლების მატებაში საქართველოს კონტროლის პალატის წვლილმა 44 მილიონი ლარი შეადგინა.

2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, 51%-ით შემცირებული აუდიტების შედეგად, საბიუჯეტო სახსრების დაზოგვასა თუ საბიუჯეტო შემოსავლების მატებაში საქართველოს კონტროლის პალატის წვლილი 340%-ით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აუდიტორული საქმიანობა კონცენტრირებულია მომეტებულ რისკებზე და აუდიტის ჩატარებისას მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგები მიიღწევა.



გამჭვირვალობა – აუდიტის რეკომენდაციების შესრულებისთვის თვალის მიდევნების საშუალება

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის გამჭვირვალობასა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ნაყოფიერ თანამშრომლობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ შემოწმებით გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად პალატის მიერ აუდიტის ობიექტისათვის ან მისი ზემდგომი ორგანოსათვის გაგზავნილი წარდგინებები (რომელთა რაოდენობამ 2010 წელს 30 შეადგინა) გამოქვეყნებულია საქართველოს კონტროლის პალატის ვებგვერდზე. შესაბამისად, შესაძლებელია როგორც ამ წარდგინებების შინაარსის გაცნობა, ისე პალატის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობისათვის თვალის დევნება.

საანგარიშო პერიოდში კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგებისა და გამოვლენილი სისტემური დარღვევების ანალიზის, ასევე განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხის გათვალისწინებით, 2011 წლისთვის განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტები:

- სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით წარმართული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები;
- სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის მართვა;
- სამედიცინო მომსახურების სისტემა და პროგრამები;
- სოფლის მეურნეობის სფეროს მართვა და ფინანსური უზრუნველყოფა;
- გარემოსდაცვითი ღონისძიებები და პროგრამები;
- თავდაცვის სფეროს ფინანსური მართვა;
- მეცნიერების მხარდაჭერის სისტემა;
- სასჯელაღსრულების სისტემის მართვა;
- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მართვა;
- თბილისის თვითმმართველობის სისტემა.

პროფესიონალიზმის სრულყოფა, ცოდნის დაგროვება და გაზიარება

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს პალატის თანამედროვე უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტად გარდაქმნასა და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებას, რისთვისაც აუცილებელია:

- რესურსების გაუმჯობესება/განვითარება;
- შემუშავებული ტრენინგსტრატეგიის საფუძველზე სწავლების სისტემის შექმნა.

ამ მიზნის მიღწევის ხელშეწყობისთვის საქართველოს კონტროლის პალატაში ჩამოყალიბდა ადამიანური რესურსების მართვის ახალი სტრატეგიული მიზნები. ამის პარალელურად, სანიმუშო თეორიული/ტექნიკური ცოდნის გაზიარებისა და პროფესიული/ორგანიზაციული შესაძლებლობების სწრაფი განვითარებისათვის გაგრძელდა აქტიური ურთიერთობა პარტნიორებთან (UNDP, GIZ, SIGMA, ლატვია, შვედეთი).

ამ მიმართულებით 2010 წლის მიღწევათა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

გაგრძელდა თანამშრომლობა ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი პროექტის (EU/SIGMA) ფარგლებში. კერძოდ, ჩატარდა სემინარები და ტრენინგები საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებისთვის. ასევე პროექტის დახმარებით საქართველოს კონტროლის პალატამ დაიწყო ტრენინგსტრატეგიის შემუშავება შიდა და გარე გადამზადებისთვის სწორი, მიზნობრივი სასწავლო პროგრამების ჩამოსაყალიბებლად. ამან ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლებას და თანამედროვე აუდიტორულ ორგანოთა სტანდარტებთან შესაბამისობას.

საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქვეყანაში და მის გარეთ ჩატარებულ 36 სემინარსა და სწავლებაში, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტის აუდიტის, ასევე ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტის საკითხებს ეხებოდა.

საქართველოს კონტროლის პალატის ოთხმა აუდიტორმა 6-თვიანი სტაჟირება გაიარა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნორდრაინ-ვესტფალიის მიწის საანგარიშო პალატაში. სტაჟირება შეეხო როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მომზადებას. კერძოდ, მათ ჩაუტარდათ პრაქტიკული ტრენინგები, ამასთანავე, ჰქონდათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ საანგარიშო პალატის მიერ განხორციელებულ აუდიტებში.

საქართველოს კონტროლის პალატის ერთმა აუდიტორმა სწავლება გაიარა ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო საანგარიშგებო სამსახურის საერთაშორისო აუდიტორული სასწავლო პროგრამით, რომელიც ემსახურება ინფორმაციისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას მსოფლიოში ანგარიშგებისა და მმართველობის გასაძლიერებლად, ხელს უწყობს საქართველოს კონტროლის პალატისა და სხვა ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის მეთოდების დახვეწასა და შესაძლებლობების განვითარებას. ამ პროგრამაში საქართველოს კონტროლის პალატის მონაწილეობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების შემუშავებასა და დანერგვაში, რაც საბოლოოდ პალატის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობას ემსახურება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის პროექტით საქართველოს კონტროლის პალატაში დაიწყო მენეჯმენტის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა. ამ პროექტის ფარგლებში

თანამშრომლობა მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ელექტრონული სისტემის შემუშავებას. დღეისათვის შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია და მიმდინარეობს მასში აღნიშნული სტრატეგიული მიზნების განსახორციელებელი პროცესები. ამის პარალელურად, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის პროგრამა, რომლის დანერგვაც 2011 წლის ბოლომდეა დაგეგმილი.

რეფორმების შედეგად, საქართველოს კონტროლის პალატაში დაგროვდა სტუდენტებისთვის გადასაცემად საკმარისი ცოდნა და გამოცდილება საჯარო სექტორის მართვისა და აუდიტის თანამედროვე მეთოდოლოგიის სფეროში.

საქართველოს კონტროლის პალატა, მისი თითოეული თანამშრომელი თავს ვალდებულად თვლის, საკუთარი წვლილი შეიტანოს, ზოგადად, განათლების სისტემის სრულყოფაში და, კერძოდ, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში. ამის გათვალისწინებით, საქართველოს კონტროლის პალატასა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, საქართველოს კონტროლის პალატის თანამშრომლები ყოველგვარი ანაზღაურებისა თუ დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაღების გარეშე გაუძღვებიან სალექციო კურსს, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს:

- საჯარო ფინანსების მართვა და საბიუჯეტო სისტემა;
- საჯარო და კერძო სამართლის შესავალი;
- თანამონაწილეობითი დემოკრატია და საბიუჯეტო პროცესი;
- კონტროლის პალატა და საჯარო ფინანსების აუდიტი;
- მონაცემთა ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება;
- საჯარო ფინანსების აღრიცხვა;
- აუდიტის საფუძვლები;
- ეფექტიანობის აუდიტი.

სალექციო კურსის დასრულების შემდეგ შესაძლებელია წარმატებულ სტუდენტებს საქართველოს კონტროლის პალატამ თანამშრომლობა შესთავაზოს. ამასთანავე, შეიძლება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ისტორიაში პირველად შეიქმნას „საჯარო სექტორის აუდიტის“ სამაგისტრო პროგრამა.

საქართველოს კონტროლის პალატის წამყვანმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს სპეციალური სასწავლო პროგრამა აუდიტორ-სტაჟიორებისათვის. შედეგად, კონტროლის პალატაში დასაქმდნენ ის სტაჟიორები, რომელთაც წარმატებით გაიარეს 3-თვიანი სწავლება/მომზადება.

საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსები

საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის საბიუჯეტო ასიგნებების მოცულობა 12 629.1 ათასი ლარით განისაზღვრა. სახსრების მთლიანმა მოცულობამ (გადახდამ) შეადგინა 12 287.6 ათასი ლარი, საიდანაც 5 151.7 ათასი ლარი პალატის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ფონდი იყო, 4 775.0 ათასი ლარი მიმართულ იქნა კონტროლის პალატის ქუთაისსა და თბილისში განლაგებული ადმინისტრაციული შენობების შიდა კაპიტალური სამშენებლო სამუშაოებისათვის, ასევე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს კონტროლის პალატის ახალი ოფისის მშენებლობისათვის, ხოლო 417.1 ათასი ლარი მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარისათვის დაიხარჯა.

2010 წელს ქალაქ ქუთაისში გაიხსნა საქართველოს კონტროლის პალატის ახალი სათავო ოფისი, რომლის მშენებლობაზე, კეთილმოწყობასა და აღჭურვაზე 3 მილიონამდე ლარი დაიხარჯა.

საქართველოს კონტროლის პალატის
2010 წლის ასიგნებები



საერთაშორისო ურთიერთობები/თანამშრომლობა

შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან გაფორმებული მემორანდუმი და თანამშრომლობის საკითხები

საქართველოს კონტროლის პალატასა და შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ორგანოს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც დაეხმარება საქართველოს კონტროლის პალატას გრძელვადიანი გეგმებით განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. ინსტიტუციური განვითარების პროექტის ფარგლებში დაიწყო და წარმატებით გრძელდება თანამშრომლობა ფინანსური აუდიტის, ეფექტიანობის აუდიტის, შიდა და გარე კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიისა და უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მენეჯმენტის საკითხებში.

ლატვიის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისთან გაფორმებული ხელშეკრულება და სამი საპილოტე აუდიტი

საქართველოს კონტროლის პალატასა და ლატვიის სახელმწიფო აუდიტორულ ოფისს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ხელს შეუწყობს ორი უმაღლესი აუდიტორული ორგანოს თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, საქართველოს კონტროლის პალატამ ლატვიელი კოლეგების დახმარებით დაიწყო ერთობლივი საპილოტე აუდიტების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ჩატარება სამი სამინისტროს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო) მაგალითზე.

რუმინეთის აუდიტორულ სასამართლოსთან გაფორმებული მემორანდუმი და თანამშრომლობის საკითხები

საქართველოს კონტროლის პალატასა და რუმინეთის აუდიტორულ სასამართლოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსური რესურსების აუდიტის სფეროში შეხედულებების, ცოდნისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ხელშეწყობით ჩეხეთის აუდიტორულ ოფისთან გაფორმებული მემორანდუმი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამამ (UNDP) საქართველოს კონტროლის პალატაში დაიწყო მენეჯმენტის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროექტი, რომლის მიზანია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ელექტრონული სისტემის შემუშავება. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს პარტნიორია ჩეხეთის აუდიტორული ოფისი.

სომხეთის რესპუბლიკის კონტროლის პალატასთან დაწყებული თანამშრომლობა

საქართველოს კონტროლის პალატასა და სომხეთის რესპუბლიკის კონტროლის პალატას შორის საფუძველი ჩაეყარა ორმხრივ ურთიერთობებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ორი უმაღლესი აუდიტორული ორგანოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარებას.

დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან შეხვედრა

2010 წელს საქართველოს კონტროლის პალატამ დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან გამართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიო ბანკის, აშშ-ის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს (USAID), ევროკავშირის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის, ნიდერლანდის სამეფოსა და ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები. შეხვედრაზე განხილულ იქნა და შეფასდა საქართველოს კონტროლის პალატასთან თანამშრომლობის სხვადასხვა სფეროში მიღწეული შედეგები.

შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების სტრატეგია 2010-2012 წლებისთვის, რომლის საფუძველზედაც გამოიკვეთა დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან მომავალი თანამშრომლობის მიმართულებები და სფეროები.

საქართველოს კონტროლის პალატა – საერთაშორისო ორგანიზაციათა პარტნიორი

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმაში ჩართულობა და სახელმწიფო რესურსების მართვის უფრო

ეფექტიანად და პროდუქტიულად განხორციელებისკენ სწრაფვა მნიშვნელოვანს ხდის მის ინსტიტუციურ როლს ევროინტეგრაციის პროცესში.

- უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუტთა საერთაშორისო ორგანიზაციაში (INTOSAI) საქართველოს კონტროლის პალატა წარმოდგენილია 2 კომიტეტში, 2 ქვეკომიტეტსა და 2 სამუშაო ჯგუფში:

  1. პროფესიული სტანდარტების კომიტეტში საქართველოს კონტროლის პალატა გაწევრიანებულია ორ ქვეკომიტეტში: შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტსა და შიდა კონტროლის სტანდარტების ქვეკომიტეტში;
  2. ცოდნის გაზიარების კომიტეტში საქართველოს კონტროლის პალატა წარმოდგენილია გარემოს აუდიტისა და პროგრამის შეფასების სამუშაო ჯგუფებში.

- EUROSAI-ს ფარგლებში საქართველოს კონტროლის პალატა არის გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის წევრი. ამ ჯგუფის წევრობა და შეხვედრებში აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას, ასევე საქართველოს კონტროლის პალატის ეფექტიანობის აუდიტის შესაძლებლობების განვითარებას.

- საქართველოს კონტროლის პალატამ შავი ზღვის აუზის ქვეყნების უმაღლეს აუდიტორულ ორგანოებთან ერთად მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ ერთობლივი აუდიტის პროექტში. ეს არის პირველი ეფექტიანობის და გარემოსდაცვითი აუდიტის პროექტი, რომელმაც, თავის მხრივ, წვლილი შეიტანა საქართველოს კონტროლის პალატის ფუნქციონირების სფეროს გაფართოებაში.

საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ხელს უწყობენ დონორი ორგანიზაციები, კერძოდ, მსოფლიო ბანკი და პარტნიორების გაერთიანებული ჯგუფი, ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ერთობლივი პროექტი (EU/SIGMA) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა (UNDP).

- საქართველოს კონტროლის პალატასა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ფარგლებში თანამშრომლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

  - „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის INTOSAI-ს სტანდარტებთან შესაბამისობა;
  - ადგილობრივი თვითმმართველობების აუდიტი;
  - ინფრასტრუქტურული პროექტების აუდიტი;
  - ეფექტიანობის აუდიტის შესაძლებლობების განვითარება;
  - ქართველი აუდიტორების სტაჟირება და პროფესიული ტრენინგი გერმანიაში;
  - საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორული აქტების შეფასება.

- ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი პროექტი უზრუნველყოფს პარტნიორი ქვეყნების რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებას, სემინარებისა და პრეზენტაციების სახით ხელს უწყობს საქართველოს კონტროლის პალატას ჩამოყალიბდეს სახელმწიფო სექტორის დამოუკიდებელ, თანამედროვე აუდიტორულ ორგანოდ.

- მსოფლიო ბანკი და პარტნიორების გაერთიანებული ჯგუფი (შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA), ნიდერლანდის განვითარების თანამშრომლობის სამინისტრო (Koninkrijk der Nederlanden) და ბრიტანეთის საერთაშორისო თანამშრომლობის დეპარტამენტი (DFID)) ინსტიტუციური განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში საერთაშორისო დონის სასწავლო პროგრამებსა და სემინარებში მონაწილეობის ხელშეწყობისა და საოფისე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფის გზით ეხმარება საქართველოს კონტროლის პალატას განავითაროს პროფესიული შესაძლებლობები.

უმაღლეს აუდიტორულ ორგანოთა გაერთიანებების – INTOSAI-ს, EUROSAI-ს და ASOSAI-ს – მიერ ორგანიზებულ თუ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კონტროლის პალატის პროფესიული განვითარების საქმეში. ამ ღონისძიებების მეშვეობით სისტემატურად მიმდინარეობს უახლესი ინფორმაციის გაცვლა, აქტუალური საკითხების განხილვა, გამოცდილების გაზიარება და საუკეთესო პრაქტიკის დადგენა, რაც საქართველოს კონტროლის პალატას დამატებით ღირებულებას სძენს პროფესიული განვითარების საქმეში.

აუდიტი „შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ“

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI) გარემოს აუდიტის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში 2010 წელს ჩატარდა კოორდინირებული პარალელური აუდიტი. ამ აუდიტის მიზანი იყო ბუქარესტის კონვენციით გათვალისწინებული შავი ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნული პროექტის კოორდინაცია უკრაინის საანგარიშო პალატამ ითავა. მასში მონაწილეობდნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ორგანოები. აუდიტის მიმდინარეობისას საქართველოს კონტროლის პალატის ჯგუფი მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებდა შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის ექსპერტებისაგან, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდა პროექტის მონაწილე სხვა მხარეებთან.

ინიციატივები და ცვლილებები რეგულაციებში

საჯარო ფინანსების მართვის სისტემის რეფორმის თვისებრივად ახალ საფეხურზე ასაყვანად და საბიუჯეტო გამჭვირვალობის ხარისხის კიდევ უფრო გასაზრდელად, საქართველოს კონტროლის პალატა გამოყოფს 5 საკითხს, რომლებზე მსჯელობა და გადაწყვეტილებების მიღება პრიორიტეტული უნდა იყოს:

- ანტიკორუფციული რისკების მონიტორინგის მეთოდოლოგიისა და სისტემის შექმნა;
- ადგილობრივი ბიუჯეტების მართვის გაუმჯობესება და მათი აუდიტის მნიშვნელობის გაზრდა, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელთა მიხედვით საქართველოს კონტროლის პალატა მოამზადებს მოხსენებას ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენა-შესრულების შესახებ და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;
- საჯარო დაწესებულებათა ბიუჯეტების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ვებგვერდზე განთავსება;
- პროგრამული ბიუჯეტის შედგენისა და პროგრამების შეფასების/თვითშეფასების მეთოდოლოგიის შექმნა;
- შიდა აუდიტის სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შექმნა.

დანართი

საქართველოს კონტროლის პალატა
აუდიტის გეგმა

2011 წლის პრიორიტეტული სფეროები

1. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით წარმართული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები
2. სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების სისტემის მართვა
3. სამედიცინო მომსახურების სისტემა და პროგრამები
4. სოფლის მეურნეობის სფეროს მართვა და ფინანსური უზრუნველყოფა
5. გარემოსდაცვითი ღონისძიებები და პროგრამები
6. თავდაცვის სფეროს ფინანსური მართვა
7. მეცნიერების მხარდაჭერის სისტემა
8. სასჯელაღსრულების სისტემის მართვა
9. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მართვა
10. თბილისის თვითმმართველობის სისტემა

აუდიტის წლიური გეგმა

საქართველოს კონტროლის პალატის სტრუქტურული ერთეულები სფეროების მიხედვით

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

	პროგრამები/დაწესებულებები
1	1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
2	2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მასში შემავალი დიპლომატიური წარმომადგენლობები
3	3. საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები

4 4. საქართველოს მთავრობის კანცელარია
5 5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
6 6. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
7 7. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
8 8. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

9 1. საქართველოს მთავრობის კანცელარია
10 2. სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციები (9 ადმინისტრაცია)
11 3. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
12 4. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
13 5. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
14 6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
15 7. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია
16 8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
17 9. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მასში შემავალი დიპლომატიური წარმომადგენლობები
18 10. საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები
19 11. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
20 12. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დაწესებულებები

21 1. „სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით წარმართული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამები“
22 2. გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა
23 3. ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა
24 4. აივ-ინფექციის/შიდსის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა
25 5. ტუბერკულოზის მართვა
26 6. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს აპარატი
27 7. ხელოვნების განვითარების ღონისძიებები
28 8. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებები
29 9. განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა; ზოგადი და პროფესიული განათლებისა და სამეცნიერო დაწესებულებები

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

30 1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
31 2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

32 3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

33 4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დაწესებულებები

34 1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქონელი და მომსახურების ქვემუხლები: „კვების ხარჯები“, „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისა“ და „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“

35 2. სსიპ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“

36 3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

37 4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

38 5. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების რეალობა

39 6. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

40 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

41 2. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

42 3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

43 4. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური

44 5. საერთო სასამართლოები

45 6. სსიპ „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“

46 7. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქონელი და მომსახურების ქვემუხლები: „კვების ხარჯები“, „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებისა“ და „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დაწესებულებები

47 1. სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) მოპოვების ლიცენზიების გაცემისა და ლიცენზიებით სარგებლობის პირობების შესრულების მდგომარეობა

48 2. საავტომობილო გზების დეპარტამენტი

49 3. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

50 4. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური

51 5. სოფლის განვითარების პროექტი (WB,IFAD)/საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

52 6. მთიანი და მაღალმთიან რეგიონების განვითარების პროგრამა (IFAD)/საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

53 7. გარემოს დაცვის ინსპექცია

54 8. სსიპ – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა

55 9. სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო

56 10. პროგრამა „ეკოტურიზმის განვითარება“/საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

57 11. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამმართველო

58 12. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს-ები

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი

59 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

60 2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

61 3. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

62 4. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

63 5. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი

პროგრამები/დაწესებულებები

64 1. მუნიციპალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით განხორციელებული ქალაქგაფორმების (საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ქალაქგაფორმების სამუშაოები), გამწვანების (მათ შორის, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ხე-მცენარეებისა და ყვავილების შეძენა-განაშენიანება, ბაღების, სკვერებისა და გაზონების სარეაბილიტაციო სამუშაოები), გარეგანათების (მათ შორის, გარეგანათების არსებული ობიექტების ექსპლოატაციის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები), დასუფთავების (მათ შორის, ნარჩენების შეგროვება, გატანა და განადგურების სამუშაოები), ჯანმრთელობის დაცვის (მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სასწრაფო სამედიცინო მომსახურება, სამხედრო ძალებში გასაწვევად მოზარდთა წინასწარი სამედიცინო შემოწმება და სამედიცინო დაზღვევა) პროგრამები და ღონისძიებები /ქ. თბილისის, და ქ. ქუთაისის მერიები.

65 2. ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამები და ღონისძიებები (ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა და ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა; მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების ორგანიზება, გარეგანათების ქსელის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია; მწვანე ნარგავების შესყიდვა-განაშენიანება, ბაღების, სკვერებისა და გაზონების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და მოვლა-პატრონობა; წყლის სისტემების, საკანალიზაციო და სანიაღვრე მეურნეობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია; ტერიტორიის დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება, გატანა და განადგურება; მაწანწალა ცხოველების დაჭერა და გაუვნებელყოფა; დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა და გაფორმება).

66 3. მუნიციპალიტეტების (მერიების) მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული), კერძო სამართლისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, მათ საქმიანობაზე კონტროლის, ამ პირების მიერ მუნიციპალური ქონებისა და სახსრების გამოყენებისა და ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებისათვის განხორციელებული საქმიანობა.

67 4. ზოგადი და პროფესიული განათლების დაწესებულებები.

კონტროლის პალატა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

		პროგრამები/დაწესებულებები
68	1.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო
69	2.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო
70	3.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აპარატი და პროგრამები
71	4.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აპარატი და პროგრამები
72	5.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი
73	6.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი
74	7.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში
75	8.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოში
76	9.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა იმერეთის რეგიონში
77	10.	პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებების საქმიანობა
78	11.	აჟარის მუნიციპალიტეტი
79	12.	სსიპ „სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი“
80	13.	სსიპ „აფხაზეთის მედიაცენტრი“
81	14.	სსიპ „კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი“
82	15.	სსიპ „აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა თეატრი „თეთრი ტალღა“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ფინანსური აუდიტი-აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი – უმაღლესი საბჭო, 4 სამინისტრო, მთავრობის აპარატი, მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო

კონტროლის პალატა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

		პროგრამები/დაწესებულებები
83	1.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება „ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი“
84	2.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
85	3.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
86	4.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
87	5.	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო
88	6.	გარე განათების (მათ შორის, განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია, დეკორატიული განათების პროჟექტორების, სანათების შეძენა-მონტაჟი, კაპიტალური სამუშაოები), ქალაქის გაფორმების, პროგრამები და ღონისძიებები/ქ. ბათუმის მერია
89	7.	პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის (მათ შორის, არსებული ობიექტების ექსპლოატაცია, მოვლა-შენახვა, სკვერების კეთილმოწყობა, ნარგავების შეძენა) პროგრამები და ღონისძიებები/ქ. ბათუმის მერია

90 8. ქობულეთის მუნიციპალიტეტი
91 9. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
92 10. ქედის მუნიციპალიტეტი
93 11. ხულოს მუნიციპალიტეტი
94 12. ზოგადი და პროფესიული განათლების დაწესებულებები
95 13. შპს „ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი – ავტონომიური რესპუბლიკის 4 სამინისტრო, მთავრობის აპარატი, მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებები და უმაღლესი საბჭო

საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2010 წლის დამტკიცებული	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	მ.შ. კრედიტები და გრანტები
05 00	საქართველოს კონტროლის პალატა	12 629.10	12 326.10	303.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	400.00	400.00	0.00
	ხარჯები	7 950.10	7 647.10	303.00
	შრომის ანაზღაურება	5 321.70	5 321.70	0.00
	საქონელი და მომსახურება	2 156.00	2 156.00	0.00
	გრანტები	5.00	5.00	0.00
	სოციალური უზრუნველყოფა	80.00	80.00	0.00
	სხვა ხარჯები	387.40	84.40	303.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 679.00	4 679.00	0.00
05 01	საქართველოს კონტროლის პალატა	12 306.70	12 306.70	0.00
	მომუშავეთა რიცხოვნობა	400.00	400.00	
	ხარჯები	7 627.70	7 627.70	0.00
	შრომის ანაზღაურება	5 321.70	5 321.70	
	საქონელი და მომსახურება	2 156.00	2 156.00	
	გრანტები	5.00	5.00	
	სოციალური უზრუნველყოფა	80.00	80.00	
	სხვა ხარჯები	65.00	65.00	
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4 679.00	4 679.00	
05 02	უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები	322.40	19.40	303.00
	ხარჯები	322.40	19.40	303.00
	სხვა ხარჯები	322.40	19.40	303.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00	0.00	0.00
05 02.01	სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის მხარდაჭერის პროექტი (კონტროლის პალატის კომპონენტი) (WB, SIDA, ნიდერლანდი, DFID)	322.40	19.40	303.00
	ხარჯები	322.40	19.40	303.00
	სხვა ხარჯები	322.40	19.40	303.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.00		

ირაკლი აბაშიძის ქ. 22, ქუთაისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 243 81 78, ფაქსი: (+995 32) 243 81 31
ელ-ფოსტა: thecontrolge@control.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

www.control.ge